ბრძანება

ქ. თბილისი

N 1456-03
11/09/2023

„ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის სამაგისტრო საფეხურზე 2023-2024 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრისთვის სწავლის გაგრძელების მსურველთა რეგისტრაციისთვის დამატებით წარმოსადგენი დოკუმენტაციის, წარმოდგენის ფორმატის და საუნივერსიტეტო გამოცდების თარიღების დამტკიცების შესახებ“ ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის დეკანის 2023 წლის 22 აგვისტოს N1079-03 ბრძანებაში ცვლილებისა და დამატების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის 29-ე მუხლის მე-3 პუნქტის ,,ე“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №134/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის“ წესდების 26-ე მუხლის მე-3 მუხლის საფუძველზე

ვბრძანებ

1. შევიდეს ცვლილება „ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში 2023–2024 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრისათვის სამაგისტრო პროგრამებზე მიღების გამოცხადების, სწავლის გაგრძელების მსურველთა რეგისტრაციის ვადების, საუნივერსიტეტო გამოცდების თარიღებისა და წარმოსადგენი დოკუმენტაციის შესახებ“ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის დეკანის 2023 წლის 22 აგვისტოს N1079-03 ბრძანების 37-ე პუნქტში და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„37. მაგისტრანტობის კანდიდატებთან, რომლებმაც წარმატებით გაიარეს საერთო სამაგისტრო და შიდა საუნივერსიტეტო გამოცდები და მოიპოვეს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამაგისტრო საფეხურზე სწავლის გაგრძელების უფლება, გარდა პროგრამებისა - ბიზნესის ადმინისტრირება (ინგლისურ ენაზე), ბიზნესის ადმინისტრირება (მენეჯმენტი, საბანკო და საფინანსო საქმე, ტურიზმის მენეჯმენტი), ჯანდაცვის პოლიტიკა და მენეჯმენტი, ხელშეკრულების გაფორმება „განხორციელდეს მისამართზე თბილისი, ჩოლოყაშვილის 3/5 E კორპუსი (უნიფუდის ტერიტორია) შემდეგი გრაფიკით:

ა) ძირითადი სიის მიხედვით ჩასარიცხ კანდიდატებთან - 2023 წლის 12-13 სექტემბერი“

2. შევიდეს დამატება „ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში 2023–2024 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრისათვის სამაგისტრო პროგრამებზე მიღების გამოცხადების, სწავლის გაგრძელების მსურველთა რეგისტრაციის ვადების, საუნივერსიტეტო გამოცდების თარიღებისა და წარმოსადგენი დოკუმენტაციის შესახებ“ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის დეკანის 2023 წლის 22 აგვისტოს N1079-03 ბრძანებაში, კერძოდ დაემატოს 37^1 პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„37[1]. მაგისტრანტობის კანდიდატებთან, რომლებმაც წარმატებით გაიარეს საერთო სამაგისტრო და შიდა საუნივერსიტეტო გამოცდები და მოიპოვეს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამაგისტრო პროგრამებზე: ბიზნესის ადმინისტრირება (ინგლისურ ენაზე), ბიზნესის ადმინისტრირება (მენეჯმენტი, საბანკო და საფინანსო საქმე, ტურიზმის მენეჯმენტი), ჯანდაცვის პოლიტიკა და მენეჯმენტი, სწავლის გაგრძელების უფლება ხელშეკრულების გაფორმება „განხორციელდეს მისამართზე თბილისი, ჩოლოყაშვილის 3/5 E კორპუსი (უნიფუდის ტერიტორია) შემდეგი გრაფიკით:
ა) ძირითადი სიის მიხედვით ჩასარიცხ კანდიდატებთან - 2023 წლის 12-13 სექტემბერი“

3. უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს დაევალოს ამ ბრძანების გამოქვეყნება უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე და ამ ბრძანებაში მითითებული ინფორმაციის გაცნობა დაინტერესებულ პირთათვის;
4. არგუსის კოორდინატორს ცენტრალურ დონეზე დაევალოს ამ ბრძანებაში მითითებული ინფორმაციის მიწოდება სტუდენტებისათვის სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემა ,,არგუსი“-ს საშუალებით;
5. უნივერსიტეტის კანცელარიას დაევალოს, მიაწოდოს ამ ბრძანების ასლები საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, იურიდიულ სამსახურს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, მატერიალური რესურსების სამსახურს და ყველა დამხმარე ადმინისტრაციულ სტრუქტურულ ერთეულს.

ნიკოლოზ ყაველაშვილი

დეკანი